ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5494981

ნომერი: AR1836048

თარიღი : 06.07.2021

გაცემის თარიღი : 09.07.2021

გაცნობის თარიღი : 28.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ველოტრეკის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 6 ივლისს №AR1836048 განცხადებით მომართა ვასილი ცომაიამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 27 თებერვლის №4877547 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქი თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, ველოტრეკის მიმდებარედ არსებულ №01.10.06.001.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 4 ბლოკის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებით გაიცა მე-2 ბლოკის მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა 2021 წლის 29 აპრილიდან 2024 წლის 29 აპრილის ჩათვლით. სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „გრადა“ (ს/ნ: №405181244).

წარმოდგენილი განაცხადით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - შპს „გრადას“ (ს/ნ: №405181244) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „გრადა პანორამას“ (ს/ნ: №405461432) დაფიქსირება.

საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882021428935, მომზადების თარიღი: 07/06/2021 წ.) თანახმად, №01.10.06.001.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს შპს „გრადა პანორამა“ (ს/ნ: №405461432). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: №B21048871, მომზადების თარიღი: 19/05/2021 წ.) შპს „გრადა პანორამას“ (ს/ნ: №405461432) დირექტორებს წარმოადგენენ გიორგი ბერუაშვილი (პ/ნ: 01019013522) და დავით მეტივიშვილი (პ/ნ: 09001002806). შპს „გრადა პანორამას“ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის შესაბამისად აღნიშნულ საზოგადოებას დირექტორები მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად. შესაბამისად, სამსახურში წარმოდგენილი გიორგი ბერუაშვილის მიერ განმცხადებლის - ვასილი ცომაიას სახელზე გაცემული 2021 წლის 5 ივლისის მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.10.06.001.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „გრადა პანორამა“ (ს/ნ: №405461432), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „გრადა პანორამას“ (ს/ნ: №405461432) დაფიქსირებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „გრადას“ (ს/ნ: 405181244) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „გრადა პანორამა“ (ს/ნ: №405461432).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5388378 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში